2025-2026 სასწავლო წლის საბაკალავრო საშემსრულებლო პროგრამების შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაცია იწარმოებს მიმდინარე წლის 2 ივნისიდან 16 ივნისის ჩათვლით 10 საათიდან - 16.30 საათამდე.

ონლაინ რეგისტრაციის შემთხვევაში აბიტურიენტი საბუთებს წარმოადგენს პირველი გამოცდის დაწყებამდე.

აბიტურიენტი ვალდებულია გამოცდებზე იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

აბიტურიენტთა მიერ წარმოსადგენი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე (ივსება ადგილზე).
2. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ქსეროასლით;
3. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ცნობა. მუსიკის ფაკულტეტზე, გარდა ატესტატისა, სავალდებულოა სპეციალური მუსიკალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა;
4. 4 ფოტოსურათი (ზომა 3×4);
5. სამხედრო მოწმობას ან სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელ საბუთს ვაჟი აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად.
6. აბიტურიენტებმა შემოქმედებითი ტური/ტურების საორგანიზაციო ხარჯებისათვის წარმოდგენილ საბუთებს უნდა დაურთონ შემოქმედებითი ტურისთვის გადახდილი თანხის (50 ლარი) დამადასტურებელი ქვითარი

   მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში,
   მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა,
   ბანკის კოდი - TRESGE22,
   სახაზინო კოდი - 708897519